“არარატთან” – 0:0

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 17 ივნისი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო (თბილისი) 0:0.

“არარატი”: ოვსეპიანი, გევორქიანი, აშ. ხაჩატრიანი, მოვსესიანი, მესროპიანი, ანდრეასიანი, ბონდარენკო, ქეროფიანი (მინასიანი), ან. ხაჩატრიანი, ოგანესიანი, კასაბოღლიანი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაზე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (ბაზაზაშვილი), მ. მაჩაიძე, ქორიძე (გ. მაჩაიძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: მ. შკლოვსკი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია კანთელაძე.

დუბლიორები – 0:1. გოლი გაიტანა კოპალეიშვილმა.

ჩემპიონატის ბოლო 3 ტურში ზედიზედ განცდილმა სამმა დამარცხებამ ერევნელთა გუნდი არასახარბიელო სატურნირო სიტუაციაში მოაქცია და რთული პრობლემების წინაშე დააყენა. ერევნელებს ახლა ჰაერივით ესაჭიროებათ გამარჯვება და მისი განაღდება მათ თბილისის დინამოელებთან შეხვედრის დასაწყისშივე სცადეს. მასპინძლებმა ზედიზედ განახორციელეს შეტევები, რამდენიმეჯერ დაარტყეს კარში (ბონდარენკო, კასაბოღლიანი, ანდრეასიანი), მაგრამ თბილისელებმა ეს იერიშები წარმატებით მოიგერიეს, მერე კი თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, რასაც რამდენიმე კრიტიკული ვითარება მოჰყვა “არარატის” კართან. ორჯერ მოიგერია ოვსეპიანმა კუთხურზე ყიფიანის დარტყმები, შემდეგ ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ შენგელიას, გუცაევს. 53–ე წუთზე გუცაევმა შეასრულა გარღვევა, მიაწოდა ბურთი ცენტრში, სადაც შენგელია თითქმის მარტო იმყოფებოდა ცარიელი კარის წინ. ეს საუკეთესო შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

საბოლოოდ, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

“ლელო”, 18 ივნისი, 1978 წ.